ტფილისი
32

№ 18
იანვრის 23, ხუთშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 18
იანვრის 23, ხუთშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ნიკოლოზ გიორგის ძე ჩიქოვანი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელის მამისას

გიორგი სვიმონის ძე ჩიქოვანისას

დაკრძალვა დანიშნულია ქ. სოხუმს, 25 იანვარს. (3—2)

ნინა და ლაზარე კენჭიაშვილნი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი მეუღლის და მეორე ძმის

იოსებ გრიგოლის ძის კენჭიაშვილისას

და სთხოვენ პატივი სცენ და დაესწრნენ განსვენებულის დასაფლავებას. მიცვალებულს გაასვენებენ ქვაშვეთის ეკლესიაში, საკუთარ სახლიდგან (ანტონოვის ქუჩა № 9) 25 იანვარს, დილის 9 საათზედ. (2—1)

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.
აქოზში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ზესტაფონში (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.
საბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— არტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

ფასი გაზეთისა 12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

კავკასიის ნატურალური კონიაკი
დ. ზ. სარაჯიშვილისა
ტფილისში

საწყობნი: ს.-პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილისში, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი. (50—6—2)

№ 32. ტელეფონი № 176

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 23 იანვარს, 1903 წ.

ნ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

მელანიას ოინები

კომ. 4 მოქმ., ჰაუპტმანიდგან გადმოკ. კ. მესხის მიერ.

მონაწილეობას იღებენ—ქ-ბნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამრეკელიძე, ვ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შაიარიშვილი, საფაროვი, რომანიშვილი, ჟღენტი.

ადგილების ფასი საბენეფისოა

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად **„მიკუნჭული ბედნიერება“**, „ნორა“, „ორი დარაჯი“, „სიძე-სიმამრი“, „ჩატეხილი ხიდი“, „დარღვეული კერა“.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ისყიდება

ვერაზედ. სათავად-აზნაურო სკოლის შენობის პირდაპირ, სამოსახლო 300 საჟ.

მიწა

იკითხეთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში შიო ქუჩუკაშვილთან და ან წიგ. გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ალექსანდრეს ბაღის თავში ელისაბედ მესხიშვილთან. (10—6.—4).

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ქ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუბეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბაკინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардiана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. ხოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტეოიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი

◆ დღეს, ქართულ თეატრში, ჩვენის ნიჭიერ მსახიობ-ქალის გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა „მელანიას ოინები“.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება დანიშნულია მომავალ სამშაბათს.

◆ ახლო მომავალში უნდა მოხდეს ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა კრება.

◆ გუშინ დანიშნული იყო ქალაქის საბჭოს კრება. კრებას წინად უნდა ამოერჩიათ პურზედა და ხორცზედ ნიხრის შემცვლელ კომისიის თავმჯდომარე; ამ კომისიის თავმჯდომარედ აქამდის ჩერქეზიშვილი იყო; ახლა-კი როგორც უკვე გაზეთშიაც გვქონდა მოხსენებული, მან ამ თანამდებობაზედ უარი განაცხადა მოუცლელობის გამო.

◆ პარასკევს, ქალაქას საბჭოს დარბაზში დანიშნულია ხმოსანთა კერძო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს პროექტი ქალაქის ქუჩების მოკირწყვლისა.

◆ ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ჰერცენშტეინის კალენდარი 1903 წლისა—Тифлисскій Настольный Календарь на 1903 г. აგერ მეათე წელიწადია, რაც ეს კალენდარი იბეჭდება რუსულ ენაზედ და ხშირად, ჩვეულებრივ საკალენდრო ცნობათა გარდა, საინტერესო წერილებიც არის ხოლმე შიგ მოთავსებული, მეტადრე სალიტერატურო ნაწილში. წლევანდელს სალიტერატურო განყოფილებაში მოთავსებულია: ისტორია გაზეთისა, პირველი ქართული გაზეთი, დასაწყისი სომეხთ ჟურნალ-გაზეთობისა და სხ.

◆ გუშინ-წინ დანიშნული კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება არ შესდგა, რადგანაც მომეტებული ნაწილი წევრთა მიწვეული იყო საგუბერნიო მრეწველობის საჭიროებათა კომიტეტის კრებაზედ.

◆ ამ სამ დღეს საგუბერნიო მეურნეობის საჭიროებათა კომიტეტის წევრნი განუწყვეტლივ იკრიბებიან გუბერნატორის თავმჯდომარეობით. მათი შემუშავებული პირველ თებერვლისათვის უნდა წარედგინოს განსაკუთრებულს ბჭობას პეტერბურგში.

◆ ამბობენ, ვითომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ერთს წევრთაგანს უთხოვნია საზოგადოებისათვის, რომ კრებანი ხალ-მალე ინიშნებოდეს ხოლმეო, რადგანაც ყველა საგნის განხილვა 1 თებერვლამდის უნდა მოესწროს და ჯერ-კი განსახილველად ბევრი საყურადღებო საგანი დაგვრჩაო; როგორც გვაცნობებენ, ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია, რადგანაც ამისთანა ქაღალდი საზოგადოებაში არავის შეუტანია.

◆ დღეს, ქალაქის სადგომში დანიშნულია ქალაქის სკოლათა კომისიის წევრთა კრება.

◆ ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას დაუდგენია შეეკითხოს უსახელო საზოგადოებას და ავჭალის ქუჩაზედ რკინის გზის პატრონებს, რა მიზეზია, რომ ცხენები საკმარისად მოვლილები არ არიანო.

◆ კვირას, 26 იანვარს, დანიშნულია კრება ქალაქის თორნის პურის მცხობლებისა. მეპურეებმა უნდა განიხილონ შეშის საწყობის დაარსების საქმე; საზოგადოდ შეშის საწყობის გეგმა შეუმუშავებია მეპურეების უსტაბაშს ბ-ნს სხირტლაძეს, რომელშიაც დაწვრილებით არის აღნიშნული, თუ რა ქონების პატრონს რა პირობით შეუძლიან ისარგებლოს ამ საწყობიდგან შეშით, ან რამდენი უნდა შეიტანოს მეპურემ, რომ გახდეს მონაწილე შეშის საწყობისა.

◆ ტფილისის გამგეობამ მიჰმართა პოლიცმეისტერს და სთხოვა, დიდუბის ღამის თავშესაფართან დაარსოს სამუდამო პოლიციის სადგომი, რადგანაც ხშირად ღამის სათევრად ბევრი შუაღამისას მოდის ხოლმე იმისთანაც რომელმაც არ იცის, ვისა და სად მიჰმართოსო.

◆ გუშინწინ დანიშნული ავლაბრისა და კუკიის საძოვარ ადგილების მეთვალყურე კომისიის წევრთა კრება არ შესდგა, რადგანაც კანონიერი წევრთა რიცხვი არ გამოცხადდა.

◆ ქალაქის გამგეობის განუზრახავს ავლაბრის აღმართის ახლო მდებარე საჰკოვის მამული შეიძინოს და მომავალში შეუდგეს კლდის აღებას; ამის გამო ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილება შეეკითხა ბ-ნ საჰკოვს, შეგვატყობინეთ, როგორ აფასებთ თითო საჟენსაო, ან ხომ არ მოისურვებთ, რომ ქალაქმა სხვაგან სადმე მოგიზომოთ სამაგიერო ადგილიო. თუ თანახმა გახდა საჰკოვი, გამგეობა სთხოვს შეატყობინოს, შეიძლება ქალაქმა დანიშნოს თავის მხრივ ადგილის დამფასებლები და როდისაო.

◆ ვერაფერს მდგომარეობაში ჩაცვინდნენ წყნეთის ქუჩაზედ და მის ახლო-მახლო მცხოვრებნი. ამ ქუჩაზედ უსუფთაობის არხი გაჰყავთ, ამის გამო ეტლები ველარ დადიან და უხვევენ ისეთს ვიწრო ქუჩებზედ, რომელშიაც მუხლებამდე ტალახია საფლობი. არხი რომ კეთდება, ეს ფრიად მოსაწონი საქმეა, მაგრამ ეგ კეთება ერთს ან ორს თვეს გასტანს და ამ ხნის განმავლობაში უნდა იტანჯნიან მცხოვრებნიცა და პირუტყვნიც დაუფენელ, ოღრო-ჩოღრო და ტალახიან ვიწრო ქუჩებზედ სიარულითა. საჭიროა ამ უწესოებას ყურადღება მიექცეს.

◆ ტფილისის გამგეობის წევრმა კოკჩაევმა და უფროსმა სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველმა ხელმეორედ დაათვალიერეს ქანდაროვის მექანიკური პურის საცხობი, რომელიც ქალაქს განუძრახავს შეიძინოს საკუთრებად; ბ-ნ კოკჩაევს უკვე შეუდგენია ვრცელი მოხსენება და გარდაუცია ხმოსნებისათვის განსახილველად; მოხსენება წარდგენილი იქნება მომავალ ორშაბათს საბჭოს განსახილველად.

◆ მე 8-ვე უბნის ბოქაულმა მიმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, რაც შეიძლება მალე მოახდინოს განკარგულება გამგეობამ, რომ არსენალის ქუჩა და თივის მოიდანი მალე იქმნას დასუფთავებული ტალახისაგან და ყურადღება მიექცეს ამ ქუჩისა და მეიდნის სისუფთავესაო.

◆ ამ ჟამად ბეჯითად მუშაობს, ინჟინერ კირაკოზოვის თავმჯდომარეობით, საჰიდრავლიკო სადგურის კომისია. კომისია უკვე შეეკითხა სხვა და-სხვა სახლის პატრონს, შეატყობინოს რა უჯდებათ ელექტრონით თითო საათს განათება. კომისიამ უკვე მიიღო რამდენიმე ცნობა. ცნობა მიიღო კომისიამ ტფილისის საკრებულო საბჭოსაგანაც; იგი ატყობინებს, რომ ამ ჟამად საკრებულო განათებულია 514 ელექტრონის ლამპრით; თითოს 25 სანთლის სინათლე აქვს და წელიწადში გვიჯდება 4,500 მანეთით.

◆ მუხრანის ხიდის ბორანი, რომელიც ბულდანოვს აქვს იჯარით აღებული, აგერ რამდენიმე დღეა, რაც აღარ მოქმედობს; რასაკვირველია, ხალხიც ძალიან შეწუხებაშია და ქალაქიც ყოველ დღე ზარალშია; ამის გამო ქალაქის გამგეობამ გუშინ მისწერა ბულდანოვს, შემატყობინეო, რა მიზეზით შეაჩერე ბორნის მოქმედება მტკვარზედ; მოსახსენებელია აქვე ისიც, რომ ამ ერთის კვირის წინად ბულდანოვმა მიართვა ქაღალდი ქალაქის გამგეობას და სთხოვა გამანთავისუფლეთ იჯარისაგან, რადგანაც ზარალის მეტს ვერასა ვხედავ ამ საქმეშიო.

◆ ლაგოდეხის მეთამბაქოე პლანტატორებმა ამირალოვმა, გაბრიელიანცმა და სხვამ მიმართეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვეს, მიგვასწავლეთ, სად ვიშოვოთ ეგრედ წოდებული „პლატანას“ თამბაქოს თესლიო, თუ თქვენ მოგეპოვებათ ამ თამბაქოს თესლი, გთხოვთ ხუთის დესიატინის სათესლე გამოგვიგზავნოთო; როგორც მეთამბაქოები იწერებიან, ამ ჟამად ლაგოდეხის მინდორში ითესება უბრალო თამბაქო, რომელიც ფუთი 3—6 მანეთამდე იყიდება ხოლმე.

◆ 3 თებერვალს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია ქ. სიღნაღში მიდის რამდენისამე საქმის განსახილველად.

◆ სენაკის მაზრაში დიდი თოვლი დაუდვია ამ ერთის კვირის წინად, ხოლო ამ დღეებში წვიმა მოსულა და ერთიან გაუფუჭებია გზები, რის გამოც მიმოსვლა გზებზე შეწყვეტილა. სიცივეც თურმე საშინელია.

◆ ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების კრებამ 20 იანვარს გადასწყვიტა, პასუხის გებაში მისცეს ზოგიერთი კონცესიონერები ცხენის რკინის გზის მატარებელში კოქლის ცხენების შებმისათვის.

◆ როგორც გვატყობინებენ, ბორჯომის ხეობაში დიდი თოვლი მოსულა. ეტლების მიმოსვლა შეწყვეტილა, მატარებლისა-კი ძალიან გაძნელებულა.

◆ ქალაქის სასანიტაოო-სამკურნალო საბჭოს მოკლე ხანში კრება ექნება. კრებამ უნდა განიხილოს, რა ღონისძიებაა მისაღები რომ ქალაქში გავრცელებული ხუნაგი მოისპოს.

—

შეცდომის გასწორება

„ივერიის“ მე-4 ნომერში შეცდომით დაბეჭდილია ბებია ქალის როლს ქ. ჯავახიშვილისა ასრულებდაო. უნდა იყოს ბებია ქალის როლს ქ. აფხაზიშვილი ასრულებდა.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მე-V კრება ქუთაისში

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

18 იანვარი (მეთერთმეტე სხდომა).

კრება დაიწყო თორმეტის ნახევარზე; თავმჯდომარემ განაცხადა,—რადგან ოქმი მზად არაა, შევუდგეთ მორიგ საქმეებს. განვიხილოთ ჯერ მოხსენება ვაგონების განმანაწილებელ კომიტეტისა.

ეს მოხსენება, როგორც კომიტეტის წარმომადგენელმა, ბ-ნმა კ. მოდებაძემ წაიკითხა. კომიტეტი შუამდგომელია რკინის გზის მმართველობისა და შავი-ქვის მრეწველთა შორის; უნდა დაიცვას რიგი,—ვის როდისა და რამდენი ვაგონი მისცეს და სხ.; მაგრამ მოხსენებიდგან აღმოჩნდა, რკინის გზის მმართველობა მაინცა და მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა თურმე კომიტეტის აზრსა და ისე იქცეოდა, როგორც თავად ჰსურდა ხანდახან კრებაზედაც-კი არ დაისწრებდა ხოლმე კომიტეტის წევრებსა. გარდა ამისა მოხსენებაში ნათქვამია,—ბაქნების განაწილების დროს დიდი უწესოება ხდებაო; ხშირად უარს ეუბნებიან ისეთ კაცებს, რომელთაც აუცილებლად ესაჭიროებათ ბაქანი და ისეთები-კი ღებულობენ, რომელთაც ტყუილ-უბრალოდა აქვთ გაჩერებული; რასაკვირველია, როგორც ყოველთვის, აქაც ხელმოკლე მრეწველი უფრო იჩაგრებაო. ამასთანავე სრულიად არაა განათლებული შავი-ქვის ბაქან-საწყობები ჭიათურაში; გზები ბაქნებს შორის მეტად უვარგისია. შემდეგ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია შუამდგომლობა იქმნას აღძრული, სადაც ჯერ არს, რომ ჭიათურის გზაზედ ყოველ სადგურზე იყიდებოდეს ბილეთები, თორემ ეხლა ხუთ სადგურში მხოლოდ სად. რკვიაში იყიდება ბილეთებიო. ერთი სადგურიდგან მეორე სადგურამდე რომ წახვიდე, ბილეთი მეოთხე სადგურისა უნდა იყიდო; მაშასადამე ერთი სამად მეტი გადაიხადო. რადგან ჭიათურიდგან შორაპნამდე მე-III კლასის ბილეთი 55 კაპეიკადა ჰღირს, კომიტეტი ჰგონებს, რომ, მთავარ ლიანდაგის მიხედვით, ეს მეტად დიდი ფასია და უნდა ვიშუამდგომლოთ, რომ დაგვიკლონო.

ბ-ნმა სოლოვიოვმა (კავკ. რკინის გზათა წარმომადგენელმა) განაცხადა, რომ რკინის გზის მმართველობა, რამდენადაც-კი შეიძლება, ხელს უწყობს მრეწველთ და მოწადინებულია ყოველი მათი მოთხოვნილება დააკმაყოფილოსო, მაგრამ, ხშირად სხვა-და-სხვა მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ვერ აკმაყოფილებს მათ საჭიროებათაო. მაგ., რკინის გზამ 30,000 მანეთი დაჰკარგა, რადგან ჭიათურის ბაქნები შავი-ქვითაა დაზვავებული და ვერას გზით ვერ მოახერხა. მათი რიგიანად მოწყობა-შეკეთება; ესავე ითქმის გზებზედ, რომლის არხებიც ქვითაა ამოვსილი და გაწმენდა-გასუფთავება არ უხერხდებაო. რაიცა შეეხება ბაქნების განაწილებას, არავითარი უწესოება არა ხდებოდა, მხოლოდ მთხოვნელთა რიცხვი გაცილებით აღემატებოდა თავისუფალ ბაქნების რიცხვსა, მაგ., 320 მთხოვნელი იყო და 60 თავისუფალი ბაქანი; რასაკვირველია, შეუძლებელი იყო ყველას დაკმაყოფილება. ამბობენ,—კომიტეტის წევრებს არავითარი უფლება არა ჰქონდათ და რკინის გზის მმართველობა ისე იქცეოდა, როგორც ჰსურდაო; მე უნდა მოგახსენოთ, რომ არც ერთი საყურადღებო საქმე არ გადაგვიწყვეტია მათ დაუკითხავად, ყოველთვის ანგარიშს ვუწევდით მათს აზრსა. განათების შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ შუამდგომლობა გვქონდა აღძრული უმაღლეს მთავრობის წინაშე და განკარგულება მივიღეთ, რომ ვაშინგტონის სისტემის ნავთ-ვარვალა ლამპებით განათდეს როგორც სადგური ჭიათურა, ისე ბაქნებიო, და ახლო მომავალში კიდეც შევუდგებით ამ საქმესაო. ბილეთის ტარიფის დაკლების შესახებ ტყუილად ნუ აღძრავთ შუამდგომლობას, რადგან ჭიათურის გზაზე სწორედ ის ტარიფია, როგორიც მთელს იმპერიაში, და მაშასადამე, ჩვენთვის ახალს ტარიფს არ დააწესებენო. ეხლა რომ ზოგიერთ სადგურებს შორის დაკლებული ტარიფია, ეს იმიტომ, რომ საგარაკო ადგილებამდე დიდ ქალაქებიდგან სრულიად სხვა ტარიფია, დაკლებული, მაგ., ტფილისიდგან ხაშურამდე, ქუთაისიდგან შორაპნამდე და სხ. ყოველ სადგურზედ ბილეთების გაყიდვის შესახებ უკვე გადასწყდა სამინისტროში და, ალბად, ახლო მომავალში ეგ მოთხოვნილებაც დაკმაყოფილებული იქნება.

ბ-ნი ზდანოვიჩი. გვიბრძანეთ ერთი, რა პირობებია საგარაკო ტარიფისა? ჭიათურის გზაც ხომ საგარაკო ადგილებს ემხრობა, მაგ., საჩხერეს, რგანს და სხ. ჩვენ სრული უფლება გვაქვს, აღვძრათ შუამდგომლობა, რომ ჭიათურის გზაზე საგარაკო ტარიფი შემოიღონ.

ბ-ნი სოლოვიოვი. იშუამდგომლეთ, შეიძლება დააკმაყოფილონ თქვენი შუამდგომლობა.

კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს ამის შესახებ.

თავ. დ. ლეონიძე. რადგან მრეწველთ ხშირად სჭირდებათ შორაპანსა და ჭიათურას შორის მიმოსვლა, ვიშუამდგომლოთ, რომ ნება მიეცეს მათ საქონლის მატარებლითაც შეეძლოთ მიმოსვლა.

ბ-ნი სოლოვიოვი. ჩვენს რკინის გზებზე რამოდენიმე მაგვარი შემთხვევა იყო, და მმართველობამ საუმჯობესოდ სცნო ეშუამდგომლა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ზოგიერთ სადგურთა შორის ყოველ საქონლის მატარებელს თითო-ოროლა სახალხო მატარებელიც გაჰყოლოდა; ასე, რომ უმჯობესი იქნება, თქვენც ამნაირი შუამდგომლობა აღძრათ,—ყოველ საქონლის მატარებელს თითო სამგზავრო მატარებელიც თან დასდევდეს.

გადასწყდა ამის შესახებაც შუამდგომლობა.

ბ-ნი ზდანოვიჩი. განათების შესახებ ჩვენ რამდენჯერმე აღვძარით შუამდგომლობა; უკანასკნელად რკინის გზის მმართველობამ განკარგულება მოახდინა და დაადგმევინა ფარნები, მაგრამ უვარგისი აღმოჩნდა, ცუდად ანათებდა. როცა აბანო დავამთავრეთ და ელექტრონის განათება მოვაწყეთ, მივეცით რკინის გზას წინადადება, რომ ჩვენის ელექტრონით გაენათებინა ჭიათურის სადგური და ბაქნები, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო, შესაძლოდ არ სცნო. რაც შეეხება იმ გზებს, რომელიც რკინის გზის გამგეობაშია, სწორედ რომ მეტად ცუდ მდგომარეობაშია, თუმცა რკინის გზას შავი-ქვიდგან მილიონობითა აქვს შემოსავალი. ჩვენი გზები, თუმცა ზოგიერთები გვისაყვედურებენ, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე იგინი.

ბ-ნი კ. მოდებაძე. ბატონებო, შეუძლებელია ისე უპატრონოდ დატოვება გზებისა, როგორც ამ ჟამადაა. ალაგ-ალაგ ისეთი ლაფი სდგას, რომ ცხენი მკერდამდე ეფლობა, ზოგან კიდევ უშველებელი ტბებია. რკინის გზის მმართველობამ უნდა განკარგულება მოახდინოს, რომ გასწმინდონ არხები და იქვე მდინარეში ჩაუშვან ეს აუარებელი წუმპე, თორემ შეუძლებელია ამ მდგომარეობაში დარჩენა.

ხმები: მართალია, მართალი, საძაგელი გზებია.

ბ-ნი ზდანოვიჩი. მე-III კრების დროს ოპოზიცია ირწმუნებოდა,—ვაგონების განწესრიგება ღერძი მთელის შავი-ქვის წარმოებისაო. მცოდნე და გამოცდილი კაცები არწმუნებდნენ მათ,—ეს მოვლენა დროებითია, მალე სრულიად შეიცვლება ყოველივეო, მაგრამ ოპოზიციის ბელადნი მაინც თავისას გაიძახოდნენ. შეიმუშავეს პროექტი ბ-ნ ქვარიანის მოთავეობით და კრების სახელით (არ ვიცი-კი, რად დაარქვეს კრების პროექტი) წარგზავნეს სამინისტროში. ამ პროექტით ორი წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო მრეწველთაგან (წვრილი და სხვილი). მეორე პროექტი თვით რკინის გზის მმართველობას ეკუთვნოდა. ორივე პროექტი დღემდე სამინისტროშია, რამდენჯერმე განუხილავთ კიდეც, მაგრამ ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დასდგომიან, რადგან სრულიად ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

ბ-ნი ემერიკი. რადგან იმ დროს მსხვილსა და წვრილს მწარმოებელთ სხვა-და-სხვა მისწრაფება ჰქონდათ და, გარდა ამისა, დიდი გაჭირვება იყო ვაგონების შოვნისა, შესდგა ორი სრულიად ერთმანერთის მოწინააღმდეგე პროექტი: ერთი მსხვილ მრეწველთაგან, და მეორე—წვრილ მრეწველთაგან ბ-ნ ქვარიანის მოთავეობით. ეხლა, ჩემის აზრით, სრულიად მეტია ლაპარაკიც-კი ამ პროექტების შესახებ, რადგან არამც თუ ეხლა, მომავალშიაც არავითარი გაჭირვება არ მოგველის ვაგონების შოვნის გამო. ამ ჟამად აუარებელი ვაგონებია ჭიათურის გზაზე თავის ლოკომოტივებით, და ვისაც რამდენიც უნდა და როდესაც უნდა, მაშინ შეუძლიან დაიჭიროს; თუნდაც რომ ერთი სამად და ერთი ოთხად იმატოს ქვის ზიდვამ, მაინც საკმაო იქნება ვაგონები. ასე, რომ ვაგონების რაოდენობა ბევრით სჭარბობს მოთხოვნილებას.

ბ-ნი ზდანოვიჩი. მაშ, სრულიად უარ-ვყოთ ის ორი მოხსენება, რომელიც სამინისტროშია წარდგენილი; მხოლოდ რამდენიმე მუხლი შევსცვალოთ ეხლანდელს წესდებაში და ვითხოვოთ მისი დამტკიცება. გარდა ამისა, თუმცა ზოგიერთნი წინააღმდეგნი არიან, მაგრამ კომიტეტში უეჭველად უნდა დარჩეს რკინის გზის წარმომადგენელი, როგორც უფრო დაახლოვებით მცოდნე რკინის გზის წესრიგისა.

ბ-ნი კ. მოდებაძე. აქ ზოგმა ის აზრი წარმოსთქვა, ვითომ ამ ჟამად სრულიად საჭირო აღარ იყოს ვაგონების გამწეს-რიგებელი კომიტეტი; ამბობენ,—ეხლა ვაგონები ბევრია, მაგრამ შეიძლება იმდენად იმატოს მადნის გაზიდვამ, რომ ისევ მორიგეობაზედ მიდგეს საქმე. მაშინ-კი ადვილად მოსალოდნელია მრავალი ბოროტ-მოქმედება. (როგორც რამდენჯერმე კიდეც მოჰხდა, მაგ., გაყიდვა ვაგონებისა, თორემ რკინის გზის წარმომადგენელი აქაა და ისიც დამემოწმება).

ბ-ნი სოლოვიოვი: სამწუხაროდ, მართალია..

ამ დროს ბ-ნნი სოლოვიოვი და ემერიკი ირწმუნებოდნენ,—არავითარი ბოროტ-მოქმედება არცა ყოფილა და არც მოსალოდნელიაო.

ბ-ნ მოდებაძის აზრს მიემხრო კრების დიდი უმრავლესობა.

ბ-ნმა ემერიკმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და ამტკიცებდა,—ვაგონების შეცვლა (ანუ, უკეთა ვსთქვათ, განათხოვრება) მეტად საჭიროა ყველასათვის და არც არავითარი ბოროტ-მოქმედება არ ხდებაო. უმჯობესია, რომ ეს წესი კვლავაც დარჩესო.

ბ-ნი სოლოვიოვი. მე როგორც მახსოვს, მე-III კრებამ თვით აღძრა შუამდგომლობა, ვაგონების განათხოვრება იყოსო.

ხმები: არა, არა.

ბ-ნი სოდ. წერეთელი. პირ-იქით მე-III კრებამ ითხოვა,—მოსპეთო.

ბ-ნი სოლოვიოვი. მაგრამ შემდეგ თვით საბჭომ ითხოვა დეპეშით, დარჩეს ვაგონების განათხოვრებაო.

ბ-ნი ზდანოვიჩი. მართალია, საბჭომ იშუამდგომლა ვაგონების განათხოვრების მოსპობა რადგან უმრავლესობა ამ აზრისა იყო. მე-კი, პირადად, მომხრე ვიყავ განათხოვრებისა, რადგან ეს ხელს უწყობს მადნის გამუდმებულ ზიდვას, მაგრამ ჩემი აზრი არ იქმნა შეწყნარებული, თუმცა ისე შეიძლებოდა საქმის მოწყობა, რომ არავითარ ბოროტ-მოქმედებას ადგილი არ ექნებოდა. არც მე-III კრების დროსა და არც ეხლა არ მესმის, რად იყვნენ და არიან ოპოზიციის ბელადნი განათხოვრების წინააღმდეგ. რეაქციონულ საშუალებით არც არა გაკეთებულა-რა და არც არა გაკეთდება-რა.

ბ-ნი ს. ქვარიანი ამტკიცებს, რომ განათხოვრება ვაგონებისა დიდად მავნე რამაა. გარდა ამისა, ჩემი მოხსენება მაშინდელ პირობისათვის იყო შემუშავებული და შეიძლება ეხლა აღარ ივარგოს; მაგრამ, თუ ზოგიერთ მუხლებს შევსცვლით, მცირეოდენ სარგებლობას მაინც გაუწევს იგი მრეწველთაო.

კრება $1^1/_2$ შესწყდა ათის წამით.

კრების განახლებისათანავე, თავმჯდომარის წინადადებით, წაკითხულ იქმნა ბ-ნ სოლოვიოვის მოხსენება შესახებ ვაგონებისა და ბაქნების განმანაწილებელ კომიტეტისა.

ბ-ნი კ. მოდებაძე. ჩემის აზრით, დიდად საჭიროა რომ აღვძრათ შუამდგომლობა, რათა მღვიმევის მონასტრის წინაც მოაწყონ შესასვენებელი ბაქანი; დიდი მოთხოვნილებაა.

ხმები: გთხოვთ, გთხოვთ.

შემდეგ ამისა კრება შეუდგა პროგრამმის იმ მუხლს, რომელიც შეეხება მრეწველთა კრებისათვის საჭირო შენობების ასაგებად ადგილების შეძენას.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. ჭიათურაში, როცა ჩვენ კიდევ არ გვქონდა დაწყებული აბანოს აგება, ბ-ნმა ხამაშურიძემ დაიწყო აბანო. პირველად ყურადღებას არ აქცევდა იმ გარემოებას, რომ ჩვენც ვაპირობდით აბანოს მოწყობას, მაგრამ, როცა დავამთავრეთ, დარწმუნდა, რომ ძლიერი მეტოქე გაუჩნდა და მიანება თავი, აღარც-კი დაათავა. ეხლა ისევ ჩვენა გვთხოვს, ვიყიდოთ მისგან ის აბანო,—იქნებ რამე გამოიყენოთო. საბჭოს რამდენჯერმე ჰქონდა ამის შესახებ ლაპარაკი, მაგრამ ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დაადგა. ეხლა კრებამ იცის, შეიწყნარებს, თუ არა ამ თხოვნას; ბ-ნ ხამაშურიძეს, როგორც ამბობენ, 11,000 მანეთამდე უზის ეს აბანო, მაგრამ ბევრად უფრო იაფად დასთმობს, თუ გადასწყვეტთ შეძენას.

ბ-ნი გ. ჟღენტი. მე წინააღმდეგი არ გახლავართ, რომ კრებამ შეიძინოს ბ-ნ ხამაშურიძის აბანო, მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ის ჯერ არც აბანოა და არც სხვა რამე. გარდა ამისა, რაღად გვესაჭიროება, როცა ჩვენ საუკეთესო აბანო გვაქვს; ის-კი—სრულიად უვარგისია.

ბ-ნი გ. ემერიკი. სანამ იმის ლაპარაკს შევუდგებოდეთ, შევიძინოთ, თუ არა, ბ-ნ ხამაშურიძის აბანო, უნდა ვიცოდეთ, რისთვის გამოგვადგება. ეხლა მხოლოდ პრინციპიალურად შეიძლება ლაპარაკი.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. რომ ეგ გვცოდნოდა, მაშინ ხომ საბჭოც გადასწყვეტდა.

თ-დი ი. ნიჟარაძე. რადგან საბჭოცა და კრებაც რამდენადმე დამნაშავეა, რომ ის კაცი დაიღუპა, რაც რამ გააჩნდა, იმ აბანოში ჩაჰყარა და ეხლა-კი აღარაფერს აღარ გამოელის იქიდგან, გამოვართვათ, იქნებ რამე გამოგვადგეს.

ბ-ნი გ. ემერიკი. როდის დაიწყო ბ-ნ ხამაშურიძემ აბანოს შენება?

თ-დი ი. ნიჟარაძე. ჩვენზედ წინად.

ბ-ნი გ. ემერიკი. მაგრამ შემდეგ იმისა, რაც ჩვენ დადგენილი გვქონდა საკუთარ აბანოს აგება; მაშასადამე, ბ-ნ ხამაშურიძემ უწყოდა ესა. მე იმ აზრის გახლავართ, თუ ჩვენთვის სასარგებლო იქნება ბ-ნ ხამაშურიძის აბანო, მხოლოდ იმ შემთხვევაში დავაკმაყოფილოთ მისი თხოვნა და შევიძინოთ აბანო.

თ-დი ი. ნიჟარაძე. მაგრამ ის კაცი იღუპება, და რომ ჩვენი აბანო არ იყოს, ეს არ მოუვიდოდა. გამოვიყიდოთ, იაფად მოგვცემს; ჩვენ როგორმე გამოვიყენებთ.

ბ-ნი ს. წერეთელი. ჯერ უეჭველად უნდა გავიგოთ, რაში გამოგვადგება, თორემ ისე როგორ იქნება შეძენა.

ბ-ნი ს. ქვარიანი. ამ საქმის ისტორია მეც ვიცი რამდენადმე. ბ-ნი ხამაშურიძე რომ აბანოს აშენებდა, წინადაც იცოდნენ, რადგან თვით მიჰმართა საბჭოს და სთხოვა,—იაფად დაგითმობთ, ოღონდ შეიძინეთო; ეს მე დანამდვილებით ვიცი; მაგრამ ბ-ნმა ზდანოვიჩმა განგებ არ მიიღო მისი თხოვნა. პირიქით, მის ჯიბრით (въ пику ему) ბ-ნმა ზდანოვიჩმა მრეწველთათვის საკუთარი აბანო ააგო იმ მოსაზრებით, რომლის შესახებაც მე აქ არა მსურს ლაპარაკი, მაგრამ კარგად-კი მოეხსენება საბჭოს თავმჯდომარეს; ბ-ნი ზდანოვიჩი მაშინ დიდი წინააღმდეგი იყო ბ-ნ ხამაშურიძის წინადადებისა და ეხლა-კი—შუამდგომლობას უწევს. არ ვიცი-კი—რა მოხდა.

ბ-ნი მოდებაძე. საყურადღებოა ვიცოდეთ ინჟ. მიხაილოვის აზრი ამის შესახებ.

ბ-ნი ა. კრინიცკი. ეს საქმე მომავალ საბჭოს მივანდოთ; გაისინჯოს, ასწონ-დასწონოს და თუ ხელსაყრელი იქნება, შეიძინოს.

ბ-ნი გ. ემერიკი. აქ ზოგნი იმ აზრისანი არიან, რომ ეს საქმე მომავალ საბჭოს მივანდოთო. უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრად უმჯობესი იქნება გავგზავნოთ ეხლავ ჩვენი კონსულტანტი ინჟ. მიხაილოვი, ადგილობრივ გასინჯოს ბ-ნ ხამაშურიძის აბანო და თავისი აზრი მოახსენოს კრებას. მაშინ ჩვენ შევიძლებთ რაიმე გარდაწყვეტილებას დავადგეთ. ბატონებო, რად უარჰყოფთ თქვენს უფლებას და ყველაფერს საბჭოს ანდობთ? თუ ასე განაგრძეთ, დასასრულ იმ ზომამდე მიხვალთ, რომ საჭიროც აღარ იქნება კრების მოწვევა ყველაფერს საბჭო განაგებს. გარდა ამისა, შესძლებს-კი საბჭო, ყველაფერს გაართვას თავი? არა, ბატონებო, ეს თქვენი საქმეა და თქვენვე უნდა გადასწყვიტოთ. ამიტომ გირჩევთ ეხლავ გაჰგზავნოთ ჭიათურას ინჟ. მიხაილოვი და შეაფასებინოთ ის შენობა.

ინჟ. მიხაილოვი. მე გასინჯული მაქვს ის შენობა და დაწვრილებით ვიცი მისი ავ-კარგი; თუ ინებებთ, თვით გეგმაც აქა მაქვს; მაგრამ, სამწუხაროდ, ვერა მომიფიქრებია-რა, რისთვის უნდა გამოიყენოს კაცმა. ადგილიც მცირეა და შენობაც მეტად უხერხული, განსაკუთრებით ქვედა-სართული, მეტად პატარა ოთახებია. შენობა-კი მკვიდრი და მაგარი უნდა იყოს.

ბ-ნი გ. ცერცვაძე. ვგონებ, ისა სჯობს, რომ მომავალ საბჭოს მიენდოს ეგ საქმე. ისევ ის უფრო ადვილად შეიძლებს, მეტის დაკვირვებით გასინჯოს კიდევ, ყოველივე გაითვალისწინოს და ისე დაადგეს რაიმე გარდაწყვეტილებას.

ბ-ნი პ. მდივანი. არ მესმის, რაღა ბევრი სალაპარაკოა; კონსულტანტს ინჟ. მიხაილოვს, რომელიც გუშინ საბჭოს თავმჯდომარემ ფრიად ნიჭიერ (ხმა ამაღლებით) კაცად გაგვაცნო,—თურმე უკვე გაუსინჯავს ის აბანო და არ მოუწონებია, უხერხული და გამოუსადეგარიაო. მაშ, რაღად ვკარგავთ უბრალოდ დროს, უარი ვუთხრათ და ის იქნება.

ბ-ნი ს. დ. წერეთელი ბ-ნ ემერიკის აზრს ემხრობა.

ბ-ნი ზდანოვიჩი. ბ-ნი ქვარიანი რაღაც „გარემოებას“ შეეხო, მაგრამ აქ არა მსურს მის შესახებ ვილაპარაკო. ნეტავ ვიცოდეთ, ან რა „გარემოებაა“, ან რად არა ნებავს გაამჟღავნოს. მაგრამ ამ კრებაზე მაინც ბ-ნი ქვარიანი ყოველ დასს გარეშეა. ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ამგვარ საქმეების შესახებაც შესაძლოა დას-დასობა?

ბ-ნი გ. ემერიკი. კიდევ მოგახსენებთ, ბატონებო, რომ ჯერ კარგად გავიგოთ,—გამოგვადგება, თუ არა, ის აბანო, და შემდეგ ვილაპარაკოთ გამოყიდვის შესახებ. ასეთ საქმეში ქვეშ-მოქმედებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

თავმჯდომარე. გადავსცეთ, თუ არა, მომავალ საბჭოს ეს საქმე?

ბ-ნი გ. ემერიკი. ეგ საქმე ორმოცჯერაც განიხილა საბჭომ, მაგრამ ვერავითარ გარდაწყვეტილებას ვერ დაადგა. ახლაც აგრევე იქნება.

თავმჯდომარე. უმრავლესობით გადასწყდა,—მომავალ საბჭოს გადაეცესო.

ინჟ. ჩერნიავსკი. საბჭომ კრებას გადმოსცა, ეხლა კრება ისევ საბჭოს ავალებს. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?

თავმჯდომარე. მაგრამ კრებამ ასე ინება.

შემდეგ ამისა ჩამოთვლილ იქმნა, თუ რა და რა საჭიროებისათვის უნდა მიეცეს საბჭოს ნება ადგილების შეძენისა.

ბ-ნი ზდანოვიჩი. რაც შეეხება გზებს, წყალსაყვანს, სანავთე მილების გასაყვან ადგილებს და სხვა-და-სხვა შენობებს, კრებამ უნდა იშუამდგომლოს, რომ ამის ნებაც მიეცეს.

კრება ათი წუთით შესწყდა $2^1/_2$ საათზე.

კრების განახლების შემდეგ ბ-ნ გ. ზდანოვიჩმა განუმარტა კრებას, ინჟ. გ. დეკანოზიშვილს ბრაზილიაში გამგზავრების ამბავი. როცა წარსულ. არა-ჩვეულებრივ კრებაზე გადასწყდა ინჟ. დეკანოზიშვილის გაგზავნა ბრაზილიასა და კუბა კუნძულზე, ადგილობრივ შავი-ქვის მადნების გასასინჯავად და იქაურ პირობათა შესასწავლად, მან წარუდგინა საბჭოს პროგრამა თავის მოგზაურობისა, რომელიც სამის თვის განმავლობაში უნდა შესრულებინა. მაგრამ შემდეგ გვაცნობა, რომ იმ მოგზაურობას უკანასკნელი რვა თვე მოუნდებოდა, და შეგვეკითხა, როგორ მოვიქცეო. საბჭომ დაადგინა, განეგრძო ინჟ. დეკანოზიშვილს მოგზაურობა, როგორც პროგრამაში იყო აღნიშნული. ბ-ნ დეკანოზიშვილს მოხსენება უნდა წარმოედგინა, მაგრამ დღემდე, გარდა რამდენისამე წერილისა, არა მიგვიღია-რა. უკანასკნელ წერილში-კი იწერება, (იანვრის 1-საა გამოგზავნილი პარიჟიდგან), ავადმყოფობამ შემიშალა ხელი, თორემ აქამდე მოვასწრებდი მოხსენების დამთავრებასაო, რომელიც უკვე დაწყებული მაქვსო. ამ ჟამად იმდენად უკეთა ვარ, რომ მუშაობა შემიძლიან და ვიმედოვნებ, ორი კვირის განმავლობაში დავასრულოო. ბ-ნ ზდანოვიჩმა წაიკითხა კრების წინაშე ორი წერილი ბ-ნ დეკანოზიშვილისა, რომელსაც რამდენადმე საზოგადო ხასიათი ჰქონდა, მაგრამ უფრო ავტორის მოგზაურობას შეიცავდა, ვიდრე შავი-ქვის საქმეს.

კრება 3 საათზედ დასრულდა.

20 იანვარი (მეთორმეტე სხდომა).

კრება დაიწყო თორმეტის ნახევარზედ. წაკითხულ იქმნა მეცხრე და მეათე კრების ოქმები, რამაც ერთ საათსა და 15 წამს გასტანა.

ექ. ჭიჭინაძე. ჯერ ის უნდა შევნიშნო, რომ, თითქმის ცხრა მეათედი ჩემის სიტყვისა გამოტოვებულია, მაგ. სრულიად არაა ოქმში შესავალი ჩემის სიტყვისა. გარდა ამისა, რადგან ბ-ნი შუტცი აქ არაა, ნება მიბოძეთ მის მაგიერ შევნიშნო, რომ გამოტოვებულია სრულიად მის მიერ მოყვანილი მაგალითი სავაჭრო სახლ. რიხნერ და კომპანიისა, რომელმაც სასამართლოში წააგო თურმე დავა მხოლოდ იმიტომ, რომ დავთარში, რომელიც მოითხოვეს სასამართლოში საქმის შესამოწმებლად, ამოშლილი, ამოფხეკილი და წახაზულები იყო; ამის გამო, ამ დავთარს აღარ ენდვნენ და ზემოხსენებულმა სავაჭრო სახლმა საქმე წააგო.

ბ-ნი ზდანოვიჩი. მაშ, გთხოვთ, ეს შენიშვნა ისე შეიტანოთ ოქმში, როგორც თვით ბ-ნ შუტცმა გადმოგვცა, და არა ისე, როგორც ექ. ჭიჭინაძე ბრძანებს, ვინაიდგან მას არა გაეგება-რა ამგვარ საქმეებისა.

ზემოხსენებულ სავაჭრო სახლს საბუთი დაჰკარგოდა; როდესაც დავა ასტყდა, მოითხოვეს საბუთი, მაგრამ არ აღმოჩნდა; მხოლოდ მაშინ მიჰმართეს დავთარს, მაგრამ, რადგან ამოშლილ-ამოფხეკილები ჰნახეს, აღარ ერ-

წმუნა სასამართლო. აი, ასე იყო ნათქვამი და ასე უნდა შევიტანოთ ოქმში. თავი და თავი საქმე საბუთია და არა დავთარი; დავთარს მხოლოდ მაშინ მიჰმართვენ, თუ საბუთი აღარ აღმოჩნდა.

ოქმების დამტკიცების შემდეგ კრება შესწყდა 15 წამით 1 საათზედ.

დაიწყო თუ არა კრება, ბ-ნ ემერიკმა წაიკითხა თავისი მოხსენება, შესახებ პროგრამის 17 §-ისა (ღონისძიებანი მადნის გადაზიდვის გასაუმჯობესებლად ჭიათურისა და სხვა ამიერ-კავკასიის რკინის გზებზედ და სანავთ-სადგურო საკითხნი).

ეს მოხსენება ორ ნაწილისაგან შესდგება, —საეკონომიო და სატეხნიკო.

როგორც აღმოჩნდა, რკინის გზა, რომელიც ყველასა და ყოველთვის ვალდებულია უზღოს, თუ რამ დააკლდა გადატანილ საქონელს, არამც თუ არ უხდის მრეწველთ იმ 4% მადნისას, რომელიც ფოთში ჩატანამდე აკლდება, არამედ ამ დაკარგულ მადნის გადასატანსაც ახდევინებს. 4% რომ ვიანგარიშოთ, გამოდის, რომ თითო ვაგონს აკლდება ფოთამდე 30 ფუთი; თუ ამ მადნის საღირალს მივუმატებთ იმასაც, რომ ამ 30 ფუთის გადასატანსაც იხდის მრეწველი, შესდგება 5 მ. 10 კ. მაშასადამე, ყოველ თითო ვაგონზედ მრეწველი ჰკარგავს 5 მ. 10 კ.

გარდა ამისა, ამიერ კავკასიის რკინის გზათა მმართველობას ამ უკანასკნელს წლებში ისეთი წესი შემოუღია, რომლითაც განსხვავება ქ. ფოთის სადგურსა და ნავთ-სადგურს შორის წინანდელს 30 კაპეიკით აღემატება.

რადგან ვაგონების დასატვირთავად ჭიათურასა, ჰიქაურასა და დარკვეთში საჭიროა მუშების (თითო ვაგონს სამი მუშა უნდება) გადაყვან-გადმოყვანა, უნდა შემოღებულ იქმნას ის ტარიფი, რომელიც ყოველგან არსებობს დიდ გზებზედ იმ მანძილის მიხედვით, რამდენზედაც მართლა მიჰყავთ მუშები (ჰიქაურამდე- 3 ვერსია, დარკვეთამდე—6). იმის გამო, რომ ამ მანძილს არ ვარაუდობენ, ამჟამად, თითო ვაგონის დატვირთვა 60 კაპეიკით მეტი უჯდება მრეწველს.

თუ ის წესები არ იქმნა შემოღებული ჭიათურის შტოზედ, რომელიც საზოგადოდ არსებობს მთელს იმპერიაში, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც სხვა და-სხვა მადნეულობის წარმოებაა, სწორედ აუტანელი ხდება ეხლანდელი მდგომარეობა მრეწველთათვის.

ამისათვის, უნდა აღვძრათ შუამდგომლობა ჯერ აქაურ რკინის გზათა მმართველობის წინაშე და, თუ ვერას გავხდით, სამინისტროს წინაშე და თუ არც იქ იქმნა შეწყნარებული ჩვენი შუამდგომლობა, უნდა ვითხოვოთ, რომ დანიშნულ იქმნას კომისია, რომელშიაც ჩვენმა წარმომადგენელმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა, და იმ კომისიას გადაეცეს ყოველივე ჩვენი საქმე.

ბ-ნმა სოლოვიოვმა, სხვათა შორის, ბ-ნ ემერიკის მოხსენების შესახებ ისა სთქვა, რომ სამინისტროდგან უკვე მიღებულია დეპეშა, რომ თითო ვაგონზე, როგორც წინადაც იყო, ზედ-მეტი 15 ფუთის გადატანის ნება ჰქონდეთ მრეწველთ 1903 წ. ივლისის 1 მდეო, (ეს ზედ-მეტი 15 ფ. გადატანა წინადაც იყო, რადგან გზაში, როგორც ბ-ნ ემერიკის მოხსენებაშია გამორკვეული, თითო ვაგონი 30 ფუთამდე ჰკარგავს), მაგრამ ჯერ ეს განკარგულება გამოცხადებული არაა რკინის გზის სადგურებზეო. ბ-ნი ემერიკის მოხსენება მიღებულ იქმნა მადლობით.

თავ. პ. წულუკიძემ აღნიშნა ის გარემოება, რომ ფოთის ნავთ-სადგურზე მეტად გაძნელებულია ვაგონებიდგან გემებში მადნის გადაზიდვა, რომელსაც ეხლა საბრალო მუშები ეწევიან თავის ზურგითაო... მართალია, ფოთის გამგეობა უკვე შეუდგა ისეთ მანქანების მოწყობას, რომლის წყალობითაც შესაძლო იქმნება ვაგონებიდგან პირდაპირ გემების დატვირთვა, მაგრამ ამ ორ-სამ წელიწადს მაინც არა ვგონებ დამთავრდეს ეს საქმეო და ჩვენთვის საჭიროა, დროებით მაინც დავმართოთ ისეთი მექანიკური მანქანები, რომ მუშები აღარ ეზიდებოდნენ მადანს გემის ქვემო სართულში. მაგალითად, ამგვარი მანქანები როტერდამში ვნახე; დანამდვილებით არ ვიცი, რა დაჯდება, მაგრამ დაახლოვებით-კი ოთხი მანქანა 10,000 მანეთამდე ეღირება ადგილობრივ; გადმოტანა და მოწყობა რომ ვიანგარიშოთ, 18,000-მდე უნდა გასჭრასო.

თავ. პ. წულუკიძის გამოანგარიშებით, რაც ეს მანქანები დაჯდება, ერთი წლის განმავლობაში ავინაზღაურებთო.

ბ-ნი ემერიკი საეჭვოდ სთვლის იმ მოსაზრებას, რომ ზემოხსენებულ მანქანებით იმდენი მადნის გადაზიდვა შეიძლებოდეს ვაგონებიდგან გემებზე, რამდენიც თ-დმა პ. წულუკიძემ დაასახელა. გარდა ამისა, ბ-ნ ემერიკმა ბრძანა, —მეცა მქონდა ამის შესახებ მოხსენება, მაგრამ ეხლა აქ არა მაქვს, ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს დავუტოვე ფოთში, რადგან იგი უკვე კარგა ხანია, რაც ამ საქმეს შეუდგა. გარდა ამისა, არ ვიცით, რამდენად მოსახერხებელი იქნება, რომ ჩვენ ცალკე გავიკეთოთ მანქანები და ქალაქმა კიდევ ცალკე.

თ-დმა პ. წულუკიძემ შენიშნა, —ჩემ მიერ დასახელებულ მანქანებით მადნის გადაზიდვის რაოდენობაზე ეჭვი გამოსთქვა ბ-ნ ემერიკმა, მხოლოდ არავითარი საბუთი-კი არ წარმოადგინაო. რაიცა შეეხება იმას, ნებას მოგვცემს, თუ არა ქ. ფოთის გამგეობა, ჩვენი საკუთარი მანქანები მოვაწყოთ, —მე ის აზრი გამოვსთქვი, რომ ჩვენ მხოლოდ შემწეობა აღმოვუჩინოთ, ფულით დავეხმაროთ ქალაქის გამგეობას, რომ მოგვიწყოს მანქანებიო.

2 საათზე კრება შესწყდა 10 წამით.

თავმჯდომარემ განაცხადა, რადგან ბ-ნ ემერიკის მოხსენება მიღებულ იქმნა, მივიღოთ თავ. პ. წულუკიძის წინადადებაც; ეს ყოველივე საბოლოოდ შემუშავდება და ისე აღიძვრის შუამდგომლობა ზემოხსენებულ დაბრკოლებათა თავიდგან ასაცდენადაო.

კარგა ხნის კამათის შემდეგ გამოირკვა, რომ ფოთის ქალაქის გამგეობა აგერ ხუთი წელიწადია, რაც შესდგომია ამ საქმეს და იმდენად მოუგვარებია, რომ ახლო მომავალში კიდეც განახორციელებს. ამისათვის კრებამ საჭიროდ აღარა სცნო თავისთვის კერძო მანქანების მოწყობას შეუდგეს, რადგან ამას ბლომად მოჰყვება ხარჯებიო და ჩვენ-კი ისედაც ხელმოკლედ ვართო.

თავმჯდომარე. წარსულ კრებაზე გადაწყდა, —დარჩეს ვაგონებისა და ბაქნების გამწეს-რიგებელი კომიტეტიო. მაგრამ მათი წესდები, რადგან პირობები თვალ საჩინოდ შეიცვალა, რამდენიმე მოძველდა და უნდა შესწორდეს, შეიცვალოს. ვგონებ, უმჯობესია, ეს საქმე საბჭოს მიენდოს, რომ საჭირო ცვლილება შეიტანოს ამ წესდებაში, და შემდეგ წარადგინოს დასამტკიცებლად, სადაც ჯერ არს.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. ჩემის აზრით, საბჭოს კი არა, თვით იმავ კომიტეტს უნდა მიენდოს წესდების შეცვლა შესწორება და მხოლოდ შემდეგ გადაეცეს საბჭოს, რომ დასამტკიცებლად წარადგინოს.

ბ-ნი კ. მდებაძე. სამინისტროში ორი პროექტია წარდგენილი ამის შესახებ, უკანვე დაგვიბრუნონ და შემდეგ აქ შევიმუშავებთ.

ცოტაოდენ კამათის შემდეგ გამოირკვა, რომ წინანდელი პროექტები საჭირო აღარაა; უნდა შემუშავდეს ახალი პროექტი და წარიგზავნოს სამინისტროში დასამტკიცებლად.

შემდეგ წაკითხულ იქმნა ბ-ნ გ. ცერცვაძის მოხსენება ნაფიც მწონავთა ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

მოხსენებაში აღნიშნულია ის არა-სასურველი მოვლენა, რომ შავი-ქვის მწონავნი, უმეტეს ნაწილად, ბევრ უკანონობას სჩადიან წონის დროს; ატყუებენ როგორც ჩალვადრებს, ისე იმათ, ვისაც ემსახურებიან: ერთხელვე დაწესებულ და ჩვეულებად გადაქცეულ სართის მაგივრად, რომელიც 20% უდრის, ხშირად 25% და 30% ართმევენ; რასაკვირველია, ეს ზედ-მეტად წანაგლეჯი მადანი აკლდება ჩალვადარს, მიმღებსა და იმას, ვისი მადნიდანაც ეზიდებიან ქვას. ეს, რასაკვირველია, ყველამ კარგად იცის და სამაგიეროდ კარგ მადანთან ერთად ეზიდებიან უვარგის მიდანსაც, ნაცხრილსა და სხ.

მომხსენებლის აზრით, საჭიროა, რომ სრულიად მოისპოს, ეგრედ წოდებული, სართი (скидка), რომელსაც მხოლოდ მაშინა ჰქონდა აზრი, როცა ურმებითა და ცხენებით ეზიდებოდნენ მადანს ზესტაფონსა და გომს; გზაში იბნეოდა რამდენიმე ნაწილი მადნისა; ეხლა-კი, როცა რკინის გზით იგზავნება მადანი, სრულიად მეტია სართის აღება, რომელიც უფრო მწონველთ ბოროტ-მოქმედებას უწყობს ხელსა და სარგებლობა კი არავის არა აქვს.

ამ მოხსენებამ დიდი კამათი გამოიწვია; ბევრმა ის აზრი გამოსთქვა, რომ კანტროლიორების დანიშვნა საქმეს ვერას არგებს; ვინაა თავმდები, რომ თვით კანტროლიორები კიდევ უფრო არ შეუწყობენ მწონავთა ბოროტმოქმედებას ხელსაო.

ბ-ნ ემერიკის აზრით, ერთად-ერთი საღსარი ამ ბოროტ-მოქმედების მოსასპობად ისაა, რომ თვით ამწონი სასწორები (ავტომატიური) შეიძინონ მრეწველებმაო.

დაინიშნოს ოთხი კანტროლიორი (ორი ჭიათურაში, ერთი ჰიქაურში და ერთიც ჭიათურასა და ჰიქაურას შუა მდებარე ბაქნებზე), რომელთაც თვალ-ყური უნდა ადევნონ, რომ მწონავებმა სინიდისიერად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა და, თუ ვისმე ბოროტმოქმედება შეამჩნევს, ადმინისტრაციის შემწეობით, ოქმი შეუდგინონ და სამართალში მისცენ.

თავმჯდომარემ. დიდად შეაქო ამ გვარ სასწორის დაარსება, დღეში 24,000 ფუთის აწონა შეიძლება ერთ სასწორზე და მეტის სინამდვილითაც აჩვენებს რაოდენობასაო.

ბ-ნთ ემერიკსა თავმჯდომარეს შენიშნეს, თუ ზედამხედველი არ იქნა, მაინც ადვილად შესაძლებელია სიყალბეო.

ბ. ზდანოვიჩმა განმარტა, —თუმცა მრავალი სხვა-და-სხვა მოსაზრება გამოითქვა, მაგრამ კანტროლის დაწესება მაინც აუცილებელი ხდება. ვერც სართის მოსპობა, ვერც თვითმწონავ სასწორების შეძენა ვერ გვიხსნის, თუ კანტროლი არ დაწესდა. ამ შემთხვევაში სრულიად ვეთანხმები ბ. ცერცვაძის აზრს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ნაფიცი-კი არა, საზოგადო უნდა იქნეს. კაცი ყოველთვის უფრო ფრთხილადაა და სცდილობს ჯეროვანად შეასრულოს თავისი მოვალეობა, თუ იგი თავის ქონებითაა პასუხის მგებელი ამ მოვალეობის დარღვევისათვის.

კამათმა კიდევ კარგა ხანს გასტანა, მაგრამ გადაჭრით არა გადასწყდა-რა, რადგან უკვე გვიან იყო.

კრება 4 საათზედ დასრულდა.

ჩვენებური ამბები

ბაჯი. (რაჭის მაზრა). სოფელ ბაჯში ქცევა მიწა ხუთასი მანეთიდან რვაასამდე ფასობს. სივიწროვისა გამო სოფლელებს ხელი მიუყვიათ მახლობელ მთაგორიანი ტყეების გაჩეხისთვის სახნავებად. ეს მოვლენა კი მეტად სამწუხაროა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ დიდი ტყეები, რომელნიც ხელს უწყობენ ჰავის სისაღეს, განადგურებულა და მეორე, ამიტომ, რომ შეშა ისე გაძვირებულა, რომ ბაჯელები იძულებულნი არიან შორიდან მოიტანონ მამასახლისთ ნაყიდი შეშა, რაც ადვილი არ არის საძაგელი გზების გამო. უფრო ამ სიღუხჭირეს კიდევ გაუძლებდა კაცი, რომ ის სახნავები, რომლებისათვისაც ტყეები იჩეხება საზოგადოთ რაჭა-ლეჩხუმში, ყანებისათვის მაინც ვარგოდეს. ასეთი ახოები ორ სამ წელიწადს კარგ პურის და სიმინდის მოსავალს იძლევიან, მაგრამ მათ ზედაპირს რეცხავს ნიაღვარი და რჩება ქვადრიანი ტიტველი მწირი ადგილები.

სწავლა განათლებით ბაჯი მაინც და მაინც ვერ დაიკვეხებს, მაგრამ გონებრივი გამოფხიზლებით რაჭის სხვა სოფლებს არ ჩამოუვარდება. საკუთარი სკოლა ამ სოფელს არა აქვს, ამიტომ მკვიდრნი, თავიანთ შვილებს სასწავლებლად პატარა ონის ორკლასიან სასწავლებელში გზავნიან, მაგრამ სიშორისა, აღმართისა და საძაგელი გზების გამო ძალიან მცირე რიცხვი დაიარება. ბევრი აქაური კაცი ქალაქში წასულა სამუშაოდ. მათ ხშირი მიმოსვლა აქვთ თავიანთ სოფელში, მოაქვთ ქალაქებიდან წიგნები და ავრცელებენ ხალხში.

ამჟამად ბაჯელებს ერთი სამძიმო საქმე აქვთ გადასაწყვეტი—ეკლესიის აშენება.

ამშენებელი კომიტეტი არჩეულია, მაგრამ საქმის დამთავრებას ჯერ არა ეშველა-რა.

ს. ბელიძე

რუსეთი

მიწად-მოქმედების სამინისტროს განუზრახავს შესცვალოს პროგრამა ყოველ წლიური სასოფლო სამეურნეო კრებებისა. წინანდელ ჩვეულებრივ კრებების მაგივრად დაარსებულ იქმნება სარაიონო კრებები, სადაც განიხილავენ ადგილობრივ საჭიროებათა სასოფლო მეურნეობისა; შემდეგ დადგენილებანი გაეგზავნება პეტერბურგში საზოგადო კრებებზე წარსადგენად.

— მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტის პროფ. ფედოროვს დიპლომი მოსვლია ლონდონის სამეფო საზოგადოებისაგან იმავე საზოგადოების წევრად არჩევისა, მაგრამ უარი განუცხადებია და დიპლომი უკანვე დაუბრუნებია და შეუთვლია: მას არ სურს „რაიმე საერთო იქონიოს იმ ეროვნებასთან, რომელმაც შეირცხვინა მთელ განათლებულ ქვეყნის თვალში სახელი ბურებთან ომის დაწყების შესახებ“.

„საწყალი ინგლისი!—სწერს ამის შესახებ „Новости дня“.—იმ ქვეყანამ რომელმაც წარმოშობა ნიუტონი, ბეკონი, უაიტი, სმიტი, ლოკკი, შექსპირი, ბაირონი, გლადსტონი, სპენსერი, დარვინი, მილი და მრავილი სხ., რომელიც ყოველთვის პირველად იბრძოდა სიტყვისა და პიროვნების თავისუფლების გულისთვის, ბოლოს ასეთი ქვეყანა ღირსი გახდა იმისი, რომ რუსეთის პროფესორმა ზურგი შეაქციოს და უარ-ჰყოს მისი საჩუქარიო!“

ფედოროვის საქციელს ჰკიცხავს ზოგიერთი გაზეთები, ჩვენ-კი მის წინააღმდეგ არა გვაქვს-რა, თუ მართლაც ფედოროვი საზოგადოდ წინააღმდეგი ყოველ გვარი ჯილდოს და ჩინების, მეტადრე იმ დაწესებულებათაგან, რომელიც უკანონობას ჩადის და ან ჩაუდენია ცოტა ხანში.

პეტერბურგის სამოსამართლო პალატაში დაიწყო კრონშტატის პოლიცმეისტერის საქმის გარჩევა, რომელსაც ბრალდება ფულების გაფლანგვა, თანამდებობის ფულით ყიდვა, ქრთამის აღება და სხ.

უცხოეთი

გერმანია. გერმანიის მრეწველობისა და საგარეო ვაჭრობის შესამჩნევი და გასაოცარი ზრდა ძალა-უნებურად იპყრობს ევროპის პერიოდულ მრეწველობის ყურადღებას. ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, იტალია სცდილობს კვალდაკვალ მისდიოს გერმანიას და თავის ქვეყნის მრეწველობის და ვაჭრობის გასაძლიერებლად ითვისებენ იმ საშუალებებს, რომლითაც გერმანია ასე გამარჯვებული გამოვიდა საეკონომიო ასპარეზზე. ინგლისი და საფრანგეთი თავიდანვე გამოვიდა საეკონომიო ბრძოლის ველზე, მათ აქვთ თავის საკუთარი ბაზარი, მრავალი ახალშენები თავის ქვეყნის ნაწარმოების გასასაღებლად. ამ შემთხვევაში ინგლისსა და საფრანგეთს მოცილე არავინა ჰყავს. გარდა ამისა ინგლისისა და საფრანგეთის ვაჭრობის ფლოტი იმდენად ძლიერია, რომ გერმანიის ჯიბრობის გაწევა არამც და არამც არ შეუძლიან.

ამგვარად, გერმანიის ეკონომიურს ჰეგემონიას უფრო ძლიერი სახელმწიფონი გადაეღობა წინ, რომლებმაც ხელთ იგდეს ქვას იქითა ქვეყნების ბაზარი. მას სხვაგან უნდა გამოენახა ბაზარი თავის ნაწარმოების გასასაღებლად, და აი გასწია კიდეც ამერიკის ქვეყნებისკენ, მაგრამ აქაც ბუმბერაზი მოცილე შეერთებული შტატები დაუდგა წინ.

არც თავის ბუნებრივი სიმდიდრით, არც ტერიტორიის სიფართოვით და მცხოვრებთა რიცხვით, ფინანსიური მდგომარეობით გერმანიას არ შეუძლია ჩრდილოეთ ამერიკას შეედაროს. ხელ-უხლებელი ნიადაგი მიწის, თვალ-გადაუწვდენელი სათესი მინდვრები, მიწად-მოქმედებაში გაუმჯობესებული იარაღებისა და მანქანების შემოღება; ყველაფერი ეს განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს შეერთებულ შტატებს სამიწად-მოქმედო წარმოება გააუმჯობესოს და ააყვავოს. მინერალური სიმდიდრის წარმოება ისე გაუმჯობესებულია, რომ ამ მხრით ევროპა ჰოჰსაც ვერ მიიტანს მასთან; დასასრულ, დასამუშავებელი მრეწველობის ყველა დარგი გაუმჯობესებულია და ახალ მოდის იარაღებით სრულდება, რაიც აადვილებს წარმოებას და მით აიაფებს საქონელს.

ამ გვარ განსაკუთრებულს პირობებში ჩაყენებული ჩრდილო-ამერიკის წარმოება არა თუ აკმაყოფილებს შინაურ მოთხოვნილებას, არამედ აკმაყოფილებს აგრეთვე შუაგულსა და სამხრეთ-ამერიკას. ამის შემდეგრაღა გასაკვირია, რომ ამერიკასთან ბრძოლა გერმანიისათვის ადვილი არ არის, რაიც დამტკიცდა კიდეც ლანდტაგისა და რეიხსტაგის კრებებზე. პრუსიის ლანდტაგში ფინანსთა მინისტრმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ყიდვითი ძალა პრუსიისა კარგა გვარიანად შემცირდა, განსაკუთრებით მიწის მუშა ხალხშიო. შემოტანის ციფრების ნაკლებულება პირდაპირ ამტკიცებს ჩემს აზრს; ამავე დროს რკინის გატანამ ამერიკაში იმატა, რომელიც ჩვენს ბაზარს ავსებს იაფი ნაწარმოებითო; ამერიკის კონკურენცია—ეს შავი წერტილია მთელი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებისაო.

ბრაზილიისა და არგენტინის ბაზრის მოპოებისათვის გერმანიისა და შეერთებული შტატების ინტერესები უკვე დაეჯახნენ ერთმანეთს, რომელიც ვინ იცის, რით გათავდება.

რეიხსტაგშიაც ჩამოვარდა ლაპარაკი ამერიკის კონკურენციის შესახებ. სატარიფო კომისიამ ურჩია დეპუტატებს ამერიკიდგან და არგენტინიდგან შემოტანილ მიწად-მოქმედების ნაწარმოებზე გარდასახადი დააწესონ, რაიც რეიხსტაგმა მიიღო კიდეც 141 ხმის უმეტესობით 67 წინააღმდეგ. ჰერბერტ ბისმარკმა—იუნკერთა და აგრარიების წარმომადგენელმა, სთქვა: დროა ბოლო მოეღოს შეერთებული შტატების პარპაშს ჩვენს ქვეყანაშიო, საჭიროა „სავაჭრო ომი“ გამოეცხადოს მათო. შემდეგში მაინც ნუღარ გავექლევინებით ჩრდილო ამერიკასაო.

საფრანგეთი. შესწყდა ღვთიურ ჩანგის დამატკბობელ სიმთა ჟღერა. გათავდა გამარჯვების მუსიკა მშვენიერი სიმფონიისა, რომლის მსგავსიც, მგონი, თავის დღეში არ გაუგონია ბურბონის სასახლის კედლებს. რესპუბლიკანელთა დასი, თითქოს ელექტრონით მოუმართავთო, განუწყვეტლივ უკრავს ტაშს... მემარჯვენენი, შერცხვენილნი, თითქოს ღირსი არ იყვნენ რესპუბლიკანელთ სიხარულის გაუყონ, ძირს იცქირებიან და გაბეცებულებმა არ იციან, რა ჰქნან.

— ჩვენ ამისთანა მჭერმეტყველება არ გაგვიგონია —იძახდნენ ისინიც-კი, რომლებიც დეშანელის სიტყვის დროს ჟორესს სიცილს აყრიდნენ. ეს ასე რად მოხდა? იმიტომ, რომ ჟორესმა თავის სიტყვით გამოჰხატა საერთო აზრი. ასე გასინჯეთ, კონსერვატორთ [illegible]ხისტთ დაავიწყდათ, რომ სიტყვა ჟორესმა მათ წინააღმდეგ სთქვა და გაიძახოდნენ: «საფრანგეთს კიდევ შეუძლია იამაყოს მჭერმეტყველებით“.

დიაღ, დიდი მნიშვნელობა აქვს ჟორესის სიტყვას, რომლის მსგავსიც პარლამენტში ჯერ არ წარმოთქმულა. მის სიტყვას არამც თუ საფრანგეთისთვის აქვს დიდი მნიშვნელობა, არამედ მთელ ქვეყნიერობისთვის. ამიტომაც იყო, რომ ჟორესის სიტყვა იმ ღამესვე გადასცეს გაზეთებს ტელეფონით და მეორე დღეს დაბეჭდილი გამოვიდა. ჟორესმა ამ სიტყვით გაარჩია, ერთიან გამოარკვია ის საქმეები, რომლებიც ამ 32 წლის განმავლობაში მოხდა. დეე, რაც უნდა იძახონ მისმა მოწინააღმდეგეთ, დეე სთქვან: „შენ ჟორეს, მართალი ხარ, მაგრამ ეს ჩვენი, ფრანგების საქმე არ არის“, დიაღ, დეე სთქვან ამისთანები, მაინც ჟორესის სიტყვა ნამდვილი სიმართლეა. რაც კი სთქვა ჟორესმა, რასაც-კი შეეხო, ყველა რეალური მხრით გაშინჯა და მის აზრს, ეჭვს გარეშე, მიემხრება მთელი პარიჟი, იტალია, ინგლისი, გერმანია და სხვ.

ცხელ ტყვიასავით ხვდებოდა ჟორესის სიტყვა იმ პატარა კაცუნებს, რომლებმაც ჟორესი გამოიწვიეს ამ სიტყვის სათქმელად. ჟორესმა სიტყვა დაიწყო დაბლა და რბილად. ეს მისი ჩვეულებაა: დაწყებისას თითქოს კრთება, აღებულ კითხვას კარგად ვერ გავარჩევო, მისი ჟესტები და ფრაზები ნელია, ხმა ურწმუნებლობას გამოჰხატავს, მაგრამ თან-და-თან ძალი ემატება, სიტყვებს აძლევს შესაფერ გამომეტყველებას, ხმა უმაგრდება და მაშინ ჟორესი ქუხს, მღერის, სტირის, ქვითინებს, მისი მოძრაობა ხდება თვით მპყრობელი და ეს პატარა კაცი იმისთანა ჯადოდ იქცევა, რომელიც ყველას თავისკენ იტაცებს და ჰბოჭავს მსმენელთ სულიერ ძალას.

ამ სიტყვით ჟორესმა მიწასთან გაასწორა ნასიონალისტები და მგონი ამ სირცხვილს ველარც აირეცხავენ.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი

„ორი გმირი“, დრამა ვ. გუნიასი და „გაცრუებული იმედები“, აზიანისა.

„ორი გმირი“-ს უმთავრესი როლები ისევე იყო განაწილებული, როგორც შარშან, მხოლოდ დესპინეს როლს კვირის წარმოდგენაში ასრულებდა ქ-ნი ლეჟავა. სამწუხაროდ, პირველ მოქმედებას ვერ მივუსწარი და ამიტომ ვერას ვიტყვი იმის შესახებ, თუ როგორ განვლო ამ მოქმედებამ. რაც შეეხება მეორე მოქმედებას, რომელშიაც ბ-ნი გუნია (დავით გურიელი) ათამაშებს თავისს როლს, უნდა აღვნიშნო, რომ ეს, სასცენო ეფექტით მოსილი, მოქმედება უფერული გამოვიდა.

ბ-ნი გუნია, როგორც სჩანდა, გუნებაზედ ვერ იყო და ლაპარაკი ჰქონდა ერთ-კილოვანი, აჩრდილისებური. ბ-ნ სვიმონიძეს ხელი შეუშალა უმწვერვალეს წერტილამდე მიღწეულმა ტრაგიკულმა პათოსმა. სამაგიეროდ, მესამე მოქმედებაში თავი შეიკავა და ზომიერის კილოთი და მიხვრა-მოხვრით კარგი შთაბეჭდილება იქონია მაყურებლებზედ. მხოლოდ ეს არის, რომ მონოლოგების დროს ლაპარაკის კილო მსახიობმა არ განასხვავა. ერთის აზრიდგან მეორეზედ გადასვლა მოითხოვს შესაფერსავე ცვლილებას ხმის მოძრაობისას, ამაღლებდადაბლებას; აგრეთვე საჭირო იყო აქა-იქ პაუზა.

ყოვლად კეთილშობილური და მედიდური იერი ჰქონდა ბ-ნ გამყრელიძეს მეფე მამიას როლში. მართო ერთი დანახვაც-კი მსახიობისა გამცნობდათ, რომ თქვენს წინაშე მეფეა, „მეფე გვირგვინოსანი“.

„ორი გმირი“-ს შემდეგ წარმოადგინეს აზიანის „გაცრუებული იმედები“.

ღმერთმანი, არ ვიცი, რაზედ უფრო ვილაპარაკო, თვით ამ ნაწარმოების შესახებ, თუ მსახიობთა შეუდარებელ თამაშობის გამო? ერთიც და მეორეც ყოვლის გზით საყურადღებოა. ამიტომ ბოდიშს მოვიხდი მკითხველის წინაშე, თუ სიტყვა გამიგრძელდა.

აზიანის „გაცრუებული იმედები“ ისეთი ნაწარმოებია, რომელიც ქართველ საზოგადოებას მანუგეშებელ იმედებით უნდა ავსებდეს.

გაზვიადება არ იქნება, რომ ვსთქვათ, ჩვენ ცხოვრებას ჰყავს ნიჭიერი და მხატვრულის შემო ქმედობით მომადლებული მემატიანე. ეს ნაწარ მოები მაჩვენებელია, რომ ქ-ნი აზიანი, რაც ხა ნი გადის, წარმატებისაკენ მიისწრაფვის.

მართალია, ჯერ არ მიუღწევია ხელოვნების საფეხურამდე, რომელსაც ძალა მისის შემოქმედე ბისა შეიძლებს და დასრულებულს ნაყოფს გამო ღებს, მაგრამ ის, რაც აქამდე შეუქმნია, სრულ თავმდებია იმისა, რომ ეს მწერალი ქალი მალ მიაღწევს ამ საფეხურამდე.

ცხოვრებაში იგი ღრმად და არა ზედაპირულ იხედება; მისი დაკვირვების უნარი, ვით რენტგ ნის სხივები, ისე ეხება ცხოვრების მოვლენათ ცხად ჰყოფს ამ ცხოვრებას. ამასთანავე, ქ-ნ აზ

ანს საკმაოდ შეუთვისებია სცენიურ ტეხნიკის საიდუმლოება; ბუნებრივი იუმორი, როგორც სტილისა, აგრეთვე გარემოებათა შეფარდებისა ზედ ჰგონება ჩამოთვლილ თვისებათ.

ყველა ამას აკლია მხოლოდ სიძლიერე, გაბედაობა და უფრო ღრმა მოფიქრება, აწონ-დაწონვა ნაგრძნობ-ნახულისა. თითოეული ნაწარმოები მისი გვიჩვენებს, რომ ავტორს აკლია ხასიათის სიმტკიცე, საქმის ბოლომდის თავის გადევნება და სიდინჯე, თითქოს ეჩქარებოდეს, მალე გაუთავოს დაწყებული ნაწარმოებიო.

საგანი, აზრი, იდეა, რომელსაც ეხება ქ-ნი აზიანი, ყოველთვის მნიშვნელოვანია, თითქმის ცხოვრების ჭარ-ვარამი; ის მომქმედნი პირნი, რომელნიც ჩვენ თვალწინ მოძრაობენ სცენაზედ, ჩვენი თანამედროვენი არიან, სისხლ ხორცნი, მაგრამ როგორც საგანი არ არის ხოლმე დასრულებით დასურათებული, აგრეთვე მომქმედნიც არ არიან მკვიდროდ გადაბმულ-გადახლართულნი პიესის საგანზედ თუ დედააზრზედ. ქ-ნ აზიანის ნაწარმოები მოგვაგონებენ სურათს, რომელზედაც თითოეული ფიგურა საკვირველის სინამდვილით არის გამოსახული, მაგრამ ამ ფიგურათა შემაერთებელი ფერადები ბუნდად, ოდნავად აღბეჭდილი და ამიტომ სურათი მთლიანობის, ერთ სულობის იერსა ჰკარგავს.

სწორედ ასეთის ელფერისაა „გაცრუებული იმედები“-ც.

საგანი ამ პიესისა ძველია, მაგრამ ამავე დროს მუდამ ახალი. იგი შეეხება მშობლებისა და შვილთა განხეთქილებს. შინაარსი ამ კომედიისა მოკლე და მარტივია. სტეფანე ზარალოვი და მისი ცოლი ანუშკა, რომელთაც შვილის აღზრდა ორიათას თუმნამდე დასჯდომიათ,—ოცნებას ეძლევიან იმის შესახებ თუ მათი დოხტური—შვილი როგორ გააბედნიერებს თავისს მშობლებს, რასაკვირველია, იმით, რომ ბღუჯა-ბღუჯა ფულებს აჰკრებს, მამას დაუბრუნებს დანახარჯს, სახლებს გადაუკეთებს, სამ-ათასიან ქალს შეირთავს და დასაც ცოლის ფულებით გაათხოვებს. მაგრამ ეს იმედები უცრუვდებათ, რადგნაც მათი შვილი ვანო ერიდება ავადმყოფებისაგან ფულის აღებას, დიდ მზითვიან ქალის შერთვას და საცოლეც რუსეთში უშოვნია—„რუსის მათუშკა“.—მოდი და იმედები ნუ გაგიცრუვდება, როდესაც შენი სისხლ-ხორცი, შენი პირმშო, რომელიც,—„ხელის გულზედაც რომ ერბო კვერცხი მოიწვას, მაინც დედ-მამის მოვალე იქნება“—უარ-ჰყოფს მშობლების სიმპათიო-სარწმუნოებას და მარტო საკუთარის ტიბიკონით ხელმძღვანელობს!..

ვანოს ზნეობრივად აზიდებას, თუ ასე შეიძლება ითქვას, იმ საშუალებათა და ხრიკების ხმარების გამო, რომელსაც მისი მშობლები არ ერიდებიან, ოღონდ შვილს სახელი გაუთქვან და ბაირაღად აათრიალონ... ის ატმოსფერა, რომელიც შეზავებულია ანგარებით, სიყალბით, ადამიანის მოტყუებით,—და მხოლოდ რომლითაც სულდგმულებენ ვანოს მშობელნი,—ვანოს სულს უხუთავს... მშობლები-კი ამას ვერ მიხვედრილან, რადგან ისინი სულ სხვა ზნეობრივ პლანეტის მცხოვრებნი არიან—და ვანო-კი სულ სხვისა. და აი, სწორედ დრამატიზმი მომქმედ-გმირთა მდგომარეობისა სწორედ იმაშია, რომ მათ ერთმანეთისა ვერა გაუგიათ-რა და ვერც გაიგებენ... მათ შუა ხიდია ჩატეხილი.

გარნა ეს არის, რომ პიესის ხლართი ამ გარემოებას მხოლოდ აღნიშნავს, მომავალ ბრძოლას ნიადაგს მოუმზადებს,—მაგრამ ნამდვილი ბრძოლა-კი არსად სჩანს... იგი მომავალშია და ეს მომავალი პიესაში არ არის... ავტორმა შექმნა დრამატიული გარემოება კომიკურ ქარგაზე—უფრო ნასკვი, მაგრამ არ გაანვითარა იგი... სწორედ ამის გამო, ახალთაობა ელფერ ნაკლებად არის დასურათებული... ახალთაობის ცხოვრებისა მხოლოდ ის ხანაა აღებული, როდესაც ვანოსა და მისთანებს ჯერ ცხოვრების სიცხადე არ შეჰხებიათ და არ გადალახულა მათი ზნეობრივი სიფაქიზე, სულიერი მისწრაფება კეთილისადმი,—ეს სტუდენტობის ანარეკლი თვისება...

აი, ავტორს რომ ეჩვენებინა ამავე ახალთაობის მამებად გარდაქმნა და ამ გარდაქმნით მათივე ზნეობრივი დაკნინება,—სწორედ მაშინ ვნახავდით სრულს კომედიას, მთლიანს ნაწარმოებს. ახლა-კი „გაცრუებელი იმედები“ ეპიზოდიური სცენებია, მეტად სხარტად და ნიჭიერად დასურათებული. ამ პიესისავე ნაკლად—და დიდ ნაკლულოვანებადაც—უნდა ჩაითვალოს, რომ ავტორი თავისს გმირებს ძალიან ხშირად და ხანგრძლივად რუსულად ალაპარაკებს... მართალია, ჩვენს ცხოვრებაში ასეა,—მაგრამ ეს გარემოება ხელზედ დასახვევი არ არის. მაშინ მთელი პიესა უნდა რუსულად დაიწეროს. მაშასადამე, გენიოსთ პუშკინს და ტოლსტოის თავიანთი „ონეგინი“ და „ვოინაი მირ“ ფრანგულით უნდა გავსოთ, რადგანაც იმდროინდელი რუსეთის მაღალი საზოგადოება მხოლოდ ფრანგულად ლაპარაკობდა. როცა უცხო ენას მიმართავს ავტორი,—უნდა ისარგებლოს მხოლოდ იმით, რაც განსაკუთრებულად ახასიეთებს გმირს.

„გაცრუებულს იმედებს“ ჩვენი მსახიობნი თამაშობენ საკვირველის ხელოვნებით და გატაცებით.

ბ-ნ ვასილ აბაშიძის თამაშობა—როდის გადმოცემა-კი არ არის, ჯადოსნობაა, თილისმა. უყურებ და გიკვირს, რომ თვით უბრალო სიტყვაკი, როგორადაც იზრდება ამ მსახიობის წყალობით... ისინი, თავ-შეუკავებლივ ისინი, როცა მსახიობს უყურებ სტეფანეს ტყავში გახვეულს, მაგრამ, ამასთანავე, როგორადაც გეხამუხება შენივე სიცილი, რადგანაც გრძნობ სრულს სასოწარკვეთილებას ამ ადამიანისას, რომელსაც ფეხქვეშ ნიადაგი ეცლება.

ნუ თუ კვლავ გვიმეორო ის არა ერთხელ გამოთქმული აღტაცება ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის ნიჭით? არა, თითონ მკითხველმა წარმოიდგინოს, რა ზომამდე კარგი უნდა ყოფილიყო მსახიობი-ქალი იმისთანა როლში, როგორიც, მაგალითად სოფიოა „ფულსა და ხარისხში“!

თანაგრძნობით მიეგება ქ-ნ ჩერქეზიშვილისას დამსწრე საზოგადოება და ეს თანაგრძნობა მით უფრო დაიმსახურა, რომ მსახიობ-ქალმა, გამოსვლისთანავე,—მოაჯადოვა საზოგადოება ბუნებრივის და ფრთა-შესხმულის თამაშობით. შეუდარებელი რამ იყო იგი ჭორიკანა და ფხიან ქვრივის როლში.

სიყმაწვილე, სიცელქე და გულუბრყვილო ოხუნჯობა, რომელიც სიამოვნებით უღიტინებს მაყურებელს,—აი, რა შემოაქვს სცენაზედ ბ-ნ შათირიშვილს ახალგაზრდა ვექილის გაბოს როლში.

ბ-ნნი სვიმონიძე, ანანიაშვილი, რომანიშვილი, ქ-ნნი ლეჟავა და რიონელი,—ერთის სიტყვით—ყველანი ხელს უწყობდნენ პიესის გამარჯვებას.

ღმერთმანი, ბედნიერია ის ავტორი, რომლის ნაწარმოებსაც წილად ჰხვდება ასეთი ხმაშეწყობილი და ზედ მიწევნითი აღსნა—განმარტება მსახიობთა მიერ.

—

ქუთაისი. კვირას, 19 იანვარს, ვ. მესხიშვილის გამგეობით, მ. ჯანოევის (ნემოს) საბენეფისოდ წარმოადგინეს 5 მოქ. დრამა ა. სუმბათაშვილისა.. „შევარდნები და ყორნები.“ პიესამ საზოგადოდ ძლიერ სუსტად ჩაიარა.

კვირას, 26 იანვარს, დანიშნულია უკანასკნელი ბენეფისი ჩვენ ნიჭიერ მსახიობ ვ. ა. მესხიშვილისა, რომელიც ავადმყოფობის გამო საზღვარგარეთ მიდის საქიმოდ. იმედია, ქუთაისის საზოგადოება გულ-გრილობას არ გამოიჩენს და დაეხმარება დაავადებულს საზოგადო მოღვაწეს.

წერილები
რედაქციის მიმართ.
I

ჩემდა სამწუხაროდ, ვერ დავესწარი აწ ავადმყოფის მსახიობის ვლ. ალექსი—მესხიშვილის სასარგებლოდ გამართულს წარმოდგენას, ტფილისში არ ყოფნის გამო. წავიკითხე მხოლოდ რეცენზია და რომ ვსცანი გულგრილობა საზოგადოებისა, რომელიც არ დასწრებია იმ სიმრავლით, როგორც შეეფერებოდა და რაც მის ბენეფისში გვინახავს, ჩემს თავს ვამტყუნებ, რატომ ერთი ადგილი მეც არ დავიჭირე თეატრში იმ დღეს და მით ჩემის წვლილით შემოსავალს იოტის ოდენა მაინც არა მიუმატე-რა მეთქი. ამის გამო არ ვაცხადებ ჩემს ვინაობას და გიგზავნით ხუთ მანეთს გადასაცემად დანიშნულებისამებრ.

№№.

დეპეშა
(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

22 იანვარი.

ქუთაისი. მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის ზოგიერთ მოწინააღმდეგეთა უძლურმა გაბრაზებამ თვით მუშტის კრივამდე მიაღწია. გუშინდელ სხდომის დასასრულს ზდანოვიჩის მოწინააღმდეგე დასის ერთმა წევრმა—კვალელმა—მოქმედებით შეურაცხ-ჰყო „ცნობის ფურცლის“ ყველასაგან პატივცემული კორესპონდენტი. დღევანდელს სხდომაზედ, კრების თავმჯდომარის ცეიტლინის ნება-დართვით, ამ უხამსის საქციელის გამო აღშფოთებულმა კრებამა და აქ მყოფმა კვალელებმა საერთოდ ბოდიში მოიხადეს ჟურნალ-გაზეთობის წარმომადგენელთა წინაშე.

—

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

21 იანვარი.

პეტერბურგი. ქალაქ ეისკს ნება დაერთო გამოსცეს საობლიგაციო სესხი 900,000 მან. დასაფარავად საკაბოტაჟო ნავთსადგურის ხარჯების ნაწილისა. უმაღლესის ნება-რთვით კუნძულს მაგილონის დაერქვა კუნძული პოსიეტისა.

ვილნო. „ვილ. უწყ.“ იცნობება, 24 იანვარს გარდაიხდიან ვილნის სამასწავლებლო ოლქის ასის წლის იუბილეს.

რიაზანი. გამოვიდა პირველი ნომერი რიაზანის „სპრავოჩნი ლისტოკისა“.

ლონდონი. ავადმყოფობა მეფისა—მსუბუქი ინფლუენციაა. დევონშირის ჰერცოგის მოსვლა გადაიდო.

ტეგერანი. დიდი ბრიტანიის საგანგებო ელჩმა დოუენმა შაჰს გადასცა დარბაზობის დროს პოდვიაზნის ორდენი და გაიხსენა მეგობრული დამოკიდებულება ინგლისისა და სპარსეთისა. შაჰმა გამოჰკითხა ელჩს მეფის ედუარდის ჯანმრთელობის შესახებ.

ნოვგოროდი. სემინარიის მასწავლებელნი და მოსწავლენი დიდის ამბით გამოეთხოვნენ რექტორს არქიმანდრიტს დიმიტრის, რომელიც კრემენჩუგში იქმნა გამწესებული ეპისკოპოსად.

ბერლინი. რომიდგან იუწყებიან, 20 იანვარს მოკვდა ცნობილი მექანდაკე ფონ-კოპლი.

ლონდონი. მეფე ავად გახდა ინფლუენციით, მაგრამ იმედი აქვს დედოფლით ჩესტვორტში წავა.

მოსკოვი. მოსკოვის შინა-მრეწველობის მუზეუმს საალტერეიო უწყება შეუკვეთავს დიდს სადურგლო სამუშაოს. შინა-მრეწველობის მოძრავ გამოფენისთვის მუზეუმი ამზადებს ხის გამომჭრელ და ლითონის ნაწარმოებთა კოლლექციას.—საგუბერნიო მმართველობა ამზადებს ქუდების საცდელს სახელოსნოს.

პეტერბურგი. 21 იანვარს ვლადივოსტოკში ფინანსთა მინისტრმა საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ხელმწიფე იმპერატორს, ჩემის უქვეშევრდომილესის მოხსენების თანახმად, ენება ყოვლად მოწყალედ ყურადღება მიექცია აღმოსავლეთის სატამოჟნო საქმისთვის, აგრეთვე ინება, რომ გადმოეცა ჩემთვის უმაღლესი ბრძანება ამ საქმის მოწეს-რიგების შესახებ. მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ინება, ჩემთვის მ.ინდო ამის გადმოცემა ვლადივოსტოკის ვაჭრებისათვის.

პეტერბურგის ბირჟა, 21 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,85
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	37,72½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101 გაყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	945 მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	461½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	372 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	308 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82¾ გაყიდ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	— 90,90¾ წვ.-გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	195 გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისის).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევს 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპანამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევს 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3(საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე: —ნაშუადღევს 3 ს. 27 წ. (4 ს 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში 25 იანვარს დანიშნულია განსახილველად:

1) დავა მ. შალამბერიძისა და პ. დადიანისა.
2) დავა გ. შანიძისა და ი. ძნელაძისა.
3) დავა ი. გაბაშვილისა და ი. ერისთავისა.
4) დავა ს. გულუასი, მ. ქუთათელაძისა და დ. ძნელაძისა.
5) დავა ტ. როსნაძისა და კ. გოცირიძისა.
6) დავა ს. თევდორაშვილისა და ნ. ვარდიაშვილისა.
7) დავა თ-დ პ. დადიანისა და პ. ტოლორდავასი.

განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ძმანი ბუმბერაზნი
ადოლფი და ფრედრიკი
(ჰერკულესები)
შეიძლება ნახოს საზოგადოებამ მიხეილის ხიდზედ მირზოევის შენობაში.
შესვლის ფასი 20 და 10 კაპ.
(1—1)

აბრეშუმის ჭიის თესლი
ძმათა პასხალიდთა.
ამ თვის გასვლამდე ამ ცნობილის ფირმის კომპანიონი პროფ. ლ. ბეზანსი ჩამოვა ტფილისს და ჩამოხტება ვეტცელის სასტუმროში—მიხეილის პროსპ. წვრილ-წვრილად ყიდვა თესლისა შეიძლება კავკასიის საიმპერ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასა და მუშტაიდის საბრეშუმო სადგურში.
(8—3)

ლაბორატორია
რის გუტმანისა
მისის იმპერატორებითის. უდიდებულესობის კარის ვაჭარი.


ВѢРНАЯ СМЕРТЬ.

ინდოური მიშუნაი
(ქიმიკოსის რის გუტმანისა)
ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათ მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან, განსაკუთრებით ზემოხსენებულ პირუტყვებს იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ ავრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.
ინდოური ფხვნილი მწერთა მოსასპობლად ყველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოოდ გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში. რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაძენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან საცმელების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველ გვარი პია-ღუს წინააღმდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კ., 65 კ. და 1 მ. 20 კ.
სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ (ქიმიკოსის რის გუტმანისა). სამუდამოთ სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ ალაქავებს საცვლებს, შპალერს და მებელს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფ. 60 კ.—1 მ.
ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის გუტმანისა) განკურნავს ბებერას, მეჭეჭს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო ფლაკონისა 60 კ.
უმთავრესი საწყობი ტფილისში, სააფთიაქ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს სააფთიაქო მაღაზიაში.
(40—6.—3)

„GRAND PRIX“
PARIS 1900
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°
Духи
Бутонъ дО'ръ

ახალი გამოცემანი
წერა-კითხვის საზოგადოების
1) **ბუნების ცოდნა**, თხზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.
2) **ასპინძის ომი**, ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პორტრეტით დ ახალციხის მხრის ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.
3) **თავდადებულნი ქართველნი**, მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.
ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მიეცემა. 6—4.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи,		
ეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. პ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით	1	„
ჯაწია და ბუნგლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა	„	30
„შოთა რუსთაველი“ მ. ჯანაშვილისა	„	40
Царица Тамара, მისივე	„	50
И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н Марра	3	,
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова.	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова		60„

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 января 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.